საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ირაკლი ბონდარენკოს* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**
წერის უნარი	**19**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**93**	**100**

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ პროცედურაში
მონაწილე კანდიდატის - **ირაკლი ბონდარენკოს** შეფასების დასაბუთება

29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის N¼ განკარგულებით დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის - **ირაკლი ბონდარენკოს** შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კეთილსინდისიერების კრიტერიუმით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	ამ კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის - ირაკლი ბონდარენკოს შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული მისი, როგორც მოსამართლის და მოქალაქის

მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	კეთილსინდისიერება, კორექტულობა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, თავმდაბლობა, პრინციპულობა, სამართლიანობა, ზეგავლენებისაგან მედეგობა და სხვა პირადი თუ პროფესიული თვისებები. კანდიდატი სამსახურებრივ და სხვა მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. ირაკლი ბონდარენკო გამოირჩევა პრინციპულობით, პოლიტიკური და სხვა ნიშნით მიუკერძოებლობით, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ადმინისტრაციული ჯარიმები (ბოლო 3 წლის განმავლობაში 2 ჯარიმა), რომლებიც დაეკისრა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის, კანდიდატს გადახდილი აქვს დროულად. რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი სხვა პირები მის პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად და მიაჩნიათ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ირაკლი ბონდარენკოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორია. ირაკლი ბონდარენკოს მიმართ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისსამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა, ასევე დაზარალებულად ან სამართლებრივ დავაში მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა. ირაკლი ბონდარენკო არასდროს ყოფილა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერი, წევრი ან/და შემომწირველი. მოძიებული ინფორმაციის თანახმად არ გამოვლენილა კანდიდატის მხრიდან რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ და ასეთი დამოკიდებულება მას არ გამოუვლენია საჯარო მოსმენისას. ზემოაღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ირაკლი ბონდარენკო, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი, სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით	**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით.**		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	**კომენტარი**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე, აგრეთვე - გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სისწორე, საჯარო მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება. კანდიდატის საჯარო მოსმენისას, ირაკლი ბონდარენკომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების კითხვებს უპასუხა და იმსჯელა სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სფეროს მიკუთვნებულ, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებზე. შეკითხვების შინაარსიდან გამონდინარე ასევე მიმოიხილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებები. კანდიდატმა ზოგადი და სამართლებრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხი გასცა ძირითადად ამომწურავად და არგუმენტირებულად, მსჯელობისას მოიყვანა კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან, ასევე - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. ამასთან, ზოგიერთ კითხვაზე კანდიდატს გაუჭირდა ამომწურავი პასუხის გაცემა, მაგალითად - უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი განმარტების სავალდებულო ძალასთან დაკავშირებით და

			ე.წ. უზრუნველყოფის შებრუნების შესახებ კითხვებზე. კომპეტენტურობის კრიტერიუმის ამ მახასიათებელთან მიმართებაში შეიძლება დავასკვნათ, რომ ირაკლი ბონდარენკოს გააჩნია როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სფეროში მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა. ჩანს, რომ სათანადოდ იცნობს ქვეყნის სასამართლო პრაქტიკას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს. ირაკლი ბონდარენკოს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება, აგრეთვე სამოსამართლო გამოცდილების კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა. ირაკლი ბონდარენკოს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის თითქმის თხუთმეტწლიანი გამოცდილება. მასთან გამართული საუბარი მოსმენისა და წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით, კანდიდატი თანმიმდევრულად და დამაჯერებლად ავითარებს მსჯელობას სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე. მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები არის დასაბუთებული, გამოყენებული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ირაკლი ბონდარენკოს აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი, შეუძლია პრობლემურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება დაასაბუთოს ლოგიკურად, სამართ-

			ლებრივ არგუმენტებზე მითითებით. ამასთან, კანდიდატი გამოირჩევა აზრის დამაჯერებლად გადმოცემის უნარით.
წერის უნარი	**19**	**20**	ამ მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ირაკლი ბონდარენკოს აქვს სათანადო წერის უნარი, მისი მსჯელობა ლოგიკური, თანმიმდევრული და დამაჯერებელია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს სასვენი ნიშნების არასწორად გამოყენების შემთხვევებს.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა (უნარი) და საჯარო მოსმენისას მიღებული სხვა შთაბეჭდილება. ირაკლი ბონდარენკოს აქვს საკმაოდ კარგი, გამართული მეტყველების უნარი. კანდიდატი საჯარო მოსმენაზე იყო მობილიზებული, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი ბონდარენკოს გააჩნია სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**	აღნიშნული მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა და სხვა უნარები.

			როგორც რეკომენდატორები და კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად კავშირში მყოფი სხვა რესპოდენტები მიუთითებენ, ირაკლი ბონდარენკო გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით, პუნქტუალურობით, გააჩნია გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, გამოირჩევა კარგი მენეჯერული თვისებებით. შესამოწმებელ პერიოდში (ბოლო სამი წლის განმავლობაში) კანდიდატმა საპროცესო ვადების დაცვით განიხილა საქმეების 95,3%, ხოლო უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 94,7%-ს. კანდიდატს დასრულებული აქვს დღეში საშუალოდ 0,1 საქმე. უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში ირაკლი ბონდარენკო იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ამჟამად არის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის N1/56 გადაწყვეტილების შესაბამისად (საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი), მასზე საქმეები შემცირებული რაოდენობით ნაწილდებოდა. მოძიებული ინფორმაციით, კანდიდატის მიმართ დისციპლინური წარმოება დაწყებული არ არის, რაც ასევე მისი მხრიდან სამოსამართლო უფლებამოსილების ჯეროვან შესრულებაზე მიუთითებს.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**	აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვ. კანდიდატი ფლობს ინგლისურ გერმანულ და რუსულ ენებს, არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების

			უნარი. აღსანიშნავია, რომ ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, იგი მონაწილეობს სხვადასხვა სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში.
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**	აღნიშნული მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის მიმართ შეფასებისას აგრეთვე გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაგულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა. ირაკლი ბონდარენკოს პროფესიულ აქტივობასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მას მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში (სხვადასხვა ფორმატის დისკუსიები, კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.) რა დროსაც, ხშირ შემთხვევებში, ღიად და თავისუფლად გამოხატავდა საკუთარ აზრს, იჩენდა ინიციატივას მართლმსაჯულებასა და ზოგადად სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუმცა, კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაცია.
ქულათა ჯამი	**93**	**100**	

დასაბუთება

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება
კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ირაკლი ბონდარენკო კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა, პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ფინანსური ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ირაკლი ბონდარენკოს შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან“ - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. ირაკლი ბონდარენკოს დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისაგან მიღებულ იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ირაკლი ბონდარენკოს შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები და მახასიათებლები.

<u>*პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის*</u> მახასიათებლის თაობაზე ირაკლი ბონდარენკოს, გამოკითხული პირები და რეკომენდატორები აფასებენ როგორც კეთილსინდისიერ, კორექტულ და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის მქონე პიროვნებას. რესპოდენტები არ მიუთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე. მნიშვნელოვანია, რომ ირაკლი ბონდარენკოს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების შესაბამისი შეგნება და სამსახურეობრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს, რომ კანდიდატს სწორად აქვს შეგნებული და გაანალიზებული როგორც პირადი, ისე პროფესიული მოვალეობები.

რაც შეეხება *დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს,* გამოკითხული რეკომენდატორები და სხვა რესპოდენტები ირაკლი ბონდარენკოს აფასებენ როგორც სამართლიან და პრიციპულ პიროვნებას. მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენისაზე მის მიერ გამოვლენილი თვისებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ის არის პიროვნულად მყარი, შეუვალი, ზეგავლენის მიმართ მედეგი და გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. რაც შეეხება კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, ირაკლი ბონდარენკო არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი ბონდარენკო იცავს ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. საჯარო მოსმენაზე კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის თავდაჭერილი და თავაზიანი. ამასთან, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა, სისხლისსამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა და სასამართლოში წარმართულ დავებშიც მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.

პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესილ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ირაკლი ბონდარენკოს შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით, მისი მოსამართლედ განწესებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევის შესახებ. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით მხოლოდ ის შეიძლება აღინიშნოს, რომ ირაკლი ბონდარენკო აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან დაკავშირებით, ირაკლი ბონდარენკოს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება და მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ამდენად, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება
კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ირაკლი ბონდარენკოს შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია, წერის უნარი, ზეპირი კომუნიკაციის უნარი, პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში, აკადემიური მიღწევები, პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

კანდიდატის მიერ *სამართლებრივი ნორმების ცოდნის* კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი ბონდარენკო როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ასევე იცნობს კონსტიტუციის ნორმებს და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. კანდიდატმა აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების სათანადო ცოდნა გამოავლინა, ირაკლი ბონდარენკოს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია), ამასთან, იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

ირაკლი ბონდარენკოსთან გამართულ საჯარო მოსმენაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები, მაგალითად - სარჩელის უზრუნველყოფის დროს მიყენებულის ზიანის ანაზღაურების (უზრუნველყოფის შებრუნების შემთხვევაში) შესახებ, სამოქალაქო ურთიერთობასა და თაღლითობას შორის გამავალი ზღვარის თაობაზე, ფიდუციური ვალდებულებების შესახებ, მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე სისხლის სამართალში და სხვა ზოგადი და სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები, რაზეც კანდიდატმა ძირითადად ამომწურავი და არგუმენტირებული პასუხები გასცა, თუმცა იყო ხარვეზებიც, რაც ზემოთ აღინიშნა.

კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 14 წელზე მეტი ხნის გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ იგი ამჟამად წარმოადგენს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლეს და არის ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. ირაკლი ბონდარენკოს მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ ის გამოირჩევა სათანადო წერის უნარით, კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს, ახერხებს სამართლებრივი საკითხების სწორად აღქმას და მისი მსჯელობის თანმიმდევრულად, ნათლად გადმოცემას. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს სასვენი ნიშნების არასწორად გამოყენების შემთხვევებს.

ირაკლი ბონდარენკოს ზეპირი კომუნიკაციის უნართან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი გამოირჩევა კარგი და გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარით. როგორც უკვე აღვნიშნე, კანდიდატი საჯარო მოსმენაზე ნათლად და ამომწურავად გადმოსცემდა საკუთარი შეხედულებებს.

პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ ირაკლი ბონდარენკო გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, მენეჯერული უნარ-ჩვევებით. საანგარიშო პერიოდში საკმაოდ მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 95,3%, ასევე უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენ-ტული მაჩვენებელი შეადგენს 94,7%-ს, რაც კარგი მაჩვენებლებია, მაგრამ განხილულ საქმეებზე გადაწყვეტილების მომზა-დების საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელი აქვს შედარებით დაბალი - 68,4%. თუმცა აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე და ახორციელებს მენეჯერულ ფუნქცია-მოვალეობებს.

კანდიდატის აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული აქტივობის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. ირაკლი ბონდარენკო აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. თუმცა, იგი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაცია.

შ ე ჯ ა მ ე ბ ა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ირაკლი ბონდარენკო სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს,** ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს **93** ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

29.04.2024